

გამგებულმა ქვესთვიანი მუშაობის ანგარიში წარმოადგინა

ლარი გამოყოფილი ფონდების დაფინანსდება შემდეგი პროექტები: მერი-ლაითურის ხიდის რეაბილიტაცია; დეპარტამენტი-სახელმწიფო-ვაკაივრის შემადგენელი ადგილობრივი მნიშვნელობის 10,1 კმ სიგრძის საავტომობილო გზის 7,1 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია; სოფ. ოზურგეთი-მელექედური-დეპარტამენტი 5,6 კმ. სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; . ოზურგეთი-სოფ. ოზურგეთის 600 მ. სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია; ლიხაური-ავის 3,3 კმ. სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ეურნალობის გაზრდას გააძლიერებს წყლის მიწოდების პრობლემაზე ჰკითხეს, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებულად აქტუალურია ოზურგეთისთვის.

კოტე შარაშენიძე: - „ჩემი ინიციატივით, ოზურგეთში მოვიწვიეთ ერთ-ერთი სერიოზული ფორმიდან სპეციალისტი, რომელმაც დაიწყო პრობლემის ადგილზე გასვლა. მას ჩემი სარეზერვო ფონდიდან დაეფინანსებ. წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანხები სოფლის პროგრამებშიც გვაქვს, მაგრამ ძალიან მცირე. მე შევისწავლე სიტუაცია და აღმოჩნდა, რომ ქალაქში წლების მანძილზე მოდიოდა „ბუფის“ წყალი. შემოქმედის წყალსადენიდან, რომელიც უამრავი თანხა დაიხარჯა, დღეს წყალს ვერ ვიღებთ. დანაშაული იქნებოდა რომ ვიღებდეთ, რადგან სათავე ნაგებობა არ არსებობს. ავზებში ხდება პირდაპირ მდინარის წყალი. ამის შესახებ ყველა საქმის კურსში ჩაგყენე, ვისაც ეხებოდა საკითხი და ვიცი, რომ რეაგირება მალე მოხდება.“

ამ ეტაპზე აზიის განვითარების ფონდის და მუნიციპალური განვითარების ფონდის ერთობლივი პროექტით კეთდება ძველი სატყეო სად-

გური ექაძის, რკინაბეტონის ბინებთან და ზვანში. დღეს ჩვენ ვიღებთ კარგ წყალს, ზოგიერთ ადგილას, ძველი წყლიდან, მაგრამ ეს უზარმაზარ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შაბათს მე და ზვიად კვაჭანტირაძეს გვკონდა შეხვედრა ირაკლი მელაშვილთან, ვთხოვე და წყალმომარაგების კომპანიის მთავარი ინჟინრის დახმარებით, პრიორიტეტების სქემა შეიქმნა, გაკეთდა ეკონომიკური გათვლები, რომელიც წარუდგინე რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელს, ასევე ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ნოდარ მიქაშვილს, ვინც კურირებს აღნიშნულ საკითხს.“

გამგებულმა რწმუნებულების გათვალისწინებით დაკავშირებით კითხვას ასე უპასუხა: - „პოლიტიკური ნიშნით რომ ვინმეს ვეინვი, ყველა რწმუნებულს გავთავისუფლებდი მოსვლისთანავე. მაგრამ ასე ვერ მოვიქცე. ყველაზე მოვალეობა დაკვირვება, და ამის შემდეგ მათი მუშაობიდან გამოდინარე მივიღე გადაწყვეტილება. ზოგიერთის მუშაობას რომ დაგაკვირდი, იმდენად გააკვირვებული დავრჩი მათი უმოქმედობით ვიკითხე:– ვისი რეკომენდაციით მოხვდნენ ამ თანამდებობაზე.“

კითხვაზე ხერხდება თუ არა გამგებლის და მისი ახლადდანიშნული მოადგილეების თანამშრომლობა იმ თანამდებობის პირებთან, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან, პასუხი ცალსახა იყო:– „არა, ჩვენთან კი არ თანამშრომლობენ, რომ ერთად გავაკეთოთ ოზურგეთისთვის სასარგებლო საქმე, პირიქით ჩასაფრებულები არიან.“ კოტე შარაშენიძემ ამ კონტექსტში გურიის გუბერნატორ ვალერი ჩიტაიშვილზე გაამახვილა ყურადღება.

გადაღებული ბიუროს სხდომა და აბორიული ჭორები?

იგი მხატვრული კოლექტივის მუშაობას უნდა გავცნობოდით. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი..

მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაპირისპირება მოხდა საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე მერაბ მჟავიას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულ ბახვა კვერდელიძესა და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის.

ბახვა კვერდელიძე: –პარასკევს გვიანობაზე გავრძელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან სოფლის პროექტების განხილვა. განვიხილეთ სოფ. გურიანთის პროექტებიც. დაახლოებით 23 საათზე გამოვედი გამგებლის კაბინეტიდან. მერაბ მჟავია მისაღებად დარჩა. გამგებლის მისაღებად იმყოფებოდნენ ასევე სოფ შრომის, ჯუმათის, ლიხაურის რწმუნებულები. არც იქ და არც გურიანთაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან არ მქონია არანაირი კონფლიქტი.

მერაბ მჟავია:–ბახვა ჩემზე ადრე წავიდა გურიანთაში. მე მუნიციპალიტეტის გამგებლის მისაღებად დავრჩი. იქ იყვნენ სოფლების შრომის, ლიხაურის, ჯუმათის, ბახვის რწმუნებულები. ვისთან უნდა მომხვედოდა კონფლიქტი. ჭორია თითქოს „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან მქონდა შეხლა-შემოხვლა. არ ვიცი, ვის აწყობს ამ ჭორების გავრცელება...“

ჩვენ დასახლებული სოფლების რწმუნებულთაგან, მხოლოდ ჯუმათის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს მერაბ ბერიძესთან მოვახერხეთ დაკავშირება:– კი ვიყავი პარასკევს სოფლის განვითარების პროექტების განხილვაზე. ჩემი პროექტი ადრე განიხილეს და წამოგვიდოდა. ჩემი იქ ყოფნის დროს არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა ვინმეს შორის...“

თენგიზ კაპანაძე, „ეროვნული ფორუმის“ წევრი:–მე სოფ. გურიანთაში ვცხოვრობ. სოფლის რწმუნებულს ამ დღეს და არც გუშინ არანაირი კონფლიქტი არ მოსვლია „ქართული ოცნების“ წევრებთან. რაც შეეხება მჟავიას, ჰქონდა თუ არა ინციდენტი ადგილი, არ ვიცი.

–არანაირი ინციდენტი არ მომხდარა–ასე გვიპასუხა სატელეფონო ზარზე „ქართული ოცნების“ გურიანთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ბონდილოვსკი.

რა კითხვებს დასვამდით საზოგადოებრივი დარბაზის პირველ შეხვედრაში

საპარტიო პროცესების მართვაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრივი დარბაზი, რომელიც ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები გაერთიანდებიან.

თუ რა სახის თემებზე დასვამდა დარბაზის სხდომაზე კითხვებს, ვმსაუბრებთ მკორეპონტორ მაცნებებთან კანდიდატს ძალბატონ მაყვალა ჟღენტს:

–დღეს ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა უდიდეს ძალისხმევას საჭიროებს, რადგან ხალხის მოთხოვნა, სწრაფად მოგვარდეს ყველა პრობლემა, რაც არარეალურია, იმ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, რომლებიც ვერ კიდევ საკმაო.

–რა ძირითად პრობლემებს ხედავთ დღეს?

–რიგი პრობლემების გადაჭრა ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს. შემოდის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლის მთავარი მოთხოვნა ადგილებზე ძლიერი ეკონომიკა და თვითმმართველობის განსაზღვრულად სათანადო ცოდნით შეარაღებული კადრები. ამ მოთხოვნებს ჩვენი რაიონი ვერ ვკერძობთ ვერ აკმაყოფილებს. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი კანონი არ მოქმედებდა მაშინ, როცა ოზურგეთი ერთ-ერთი ეკონომურად ძლიერი რაიონი იყო საქართველოში. ბატონი მიხაკო ორაველიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოზურგეთი იყო ლოკომოტივი, ხოლო ყველა სხვა რაიონი მასზე ჩამოშლილი ვაგონები. სამწუხაროდ, დღეს ოზურგეთი არა თუ ლოკომოტივი, არამედ ბოლო რიგის ვაგონებს შორისაა.

პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ადგილი აქვს ორხელისუფლებიანობას. ზოგ შემთხვევაში საჯარო მოხელეებს არ გააჩნიათ სათანადო თეორიული ცოდნა და არც პრაქტიკული გამოცდილება; ან გააჩნიათ ერთი, რაც არასაკმარისა მათზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

შედეგობაშია მისაღები ისიც, რომ ადამიანები (შრომითი რესურსი) რომელთა მხრებზეც უნდა გადავიდეს მთელი სიმძიმე, არ არიან გათვითცნობიერებული ახალ მოთხოვნათა პირობებში მუშაობისთვის, ხოლო იმ ასაკობრივ ვაჟებს, რომლებიც მთავარ შრომით რესურსს წარმოადგენს, არ აქვს უნარ-ჩვევები, არ ციან შრომის ფასს, არ გააჩნიათ შრომის სიყვარული. ამიტომ უნდა იქნეს გამოყენებული ყველა გამოუყენებელი რესურსი.

–რა რეზერვებს ხედავთ თქვენი შრომითი გამოცდილებიდან გამოდინარე?

–ერთ-ერთ რეზერვად მიმაჩნია ხელმძღვანელი მუშაკების მიერ ისეთ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება და მათი მიმდინარე პროცესებში ჩართვა, რომლებსაც პარტიული კუთვნილების მიუხედავად, გააჩნიათ სათანადო თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება, ენთუზიაზმის გრძობა, შეუძლიათ საქმის უანგაროდ კეთება.

რაიონულ, თუ ადგილობრივ დონეზე (სოფელი, დაბა, ქალაქი) საჯარო მოხელეების გვერდით ასეთი ადამიანების დოზა და მათი ერთობლივი მუშაობა, მთ უფრო საჭიროა დღეს, როცა მთავრობას მიზნად აქვს დასახული ხალხის

თვითმმართველობაზე თანდათან გადასვლა.

–აღნიშნული ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების განხორციელებამდე რა უნდა დაეღოს საფუძვლად სამოქმედო პროგრამას?

–სოფლის, დაბის, ქალაქის, რაიონის დონეზე წარსულში და ამჟამად არსებული ფაქტორული მდგომარეობის ანალიზი და მჭიდრობის გაანალიზებით მიღებული დასკვნები: რა ვკერძობდა, რა მვიდეთ მემკვიდრეობით, რა სახელები დაინერგა, როგორია შედეგი;

აგრეთვე ის წინადადებები და რჩევები, რომლებსაც ადამიანები მაშინვე ხელმძღვანელობს ყველა სფეროს მიხედვით. უნდა ითქვას, რომ ასეთი წინადადებებსა და რჩევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი სამოქმედო პროგრამის შემუშავებისათვის, სადაც მოცემული იქნება მათი რეალიზაციის გზებიც.

დაწმენილი ვარ, რაიონის (მუნიციპალიტეტის) დღევანდელი ხელმძღვანელები, გამგებელი კოტე შარაშენიძე ყველა საქმის წინადადებას თუ რჩევას გამოიყენებს მუშაობაში.

–და მინც, კონკრეტულად რა საკითხებს დააყენებთ დარბაზის სხდომაზე?

–აი, ზოგიერთი საკითხი: ადგილობრივი პირობების და ტრადიციების გათვალისწინებით რაიონის ძირითადი პრიორიტეტის განსაზღვრა; იმ დარგების განვითარებისადმი ყურადღების გამახვილება, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა დარგების განვითარებაზე;

ანასულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის ფუნქციის დაბრუნება იმის გათვალისწინებით, რომ სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა რაიონის ეკონომიკის განმსაზღვრელია, ხოლო ამ დარგის განვითარებისათვის ამ ინსტიტუტის, როგორც სპეციალიზირებულის, მუშაობა ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

რაიონის ფარგლებს გარეთ მოღვაწე რაიონის მკვიდრი ბიზნესმენთა ჩართვა რაიონის წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებაში.

მაგლობა ბატონ ვანო ჩხარტიშვილს იმ სასიკეთო საქმებისთვის, რაც ოზურგეთს გაუკეთა, მაგრამ ორჯერ მეტ მაგლობას ვუტყვევით, თუკი იგი მონაწილეობას მიიღებს ისეთი პრობლემების მოგვარებაში, რაც საშუალებას მოგვცემს, ეკლესიიდან გამოშვლდეს კარებთან არ დავხვდნენ დახმარებისთვის ხელგაწვდელი ადამიანები...“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამი კვირვასი დღესასწაული

6166 ნიკოლაიშვილი

„ჯვარი ვაზისა“–წმ ნინოს შემობრძანების დღეს, „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყვინოდეს“–საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, „იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“–ბაეშეთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიუძღვნეს ერთიანი ღონისძიება წმ გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის მოსწავლეებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები და ექვსი მღვდელი, ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლები.

მოსწავლეთა თვითშემოქმედების შესაფასებლად შეიქმნა სპეციალური ჟიური: ტრისტან სისხარულიძე, ვაჟა ახვლედიანი, ზაზა ჯინჭარაძე, მამა იოსები (ნაკაიძე).

მოსწავლეები დალოცა მეუფე იოსებმა.

იმის გამო, რომ ღონისძიების მიმდინარეობისას ქ. ოზურგეთში ელექტროენერჯის მოწოდება შეწყდა, მოსწავლეებმა ვერ შეძლეს ქორეოგრაფიული ნომრების შესრულება, მაგრამ სხვა სახეობებში (სიმღერა, მხატვრული კითხვა) საუკეთესოდ წარმოადგინეს თავი და სასწავლებელი (ღონისძიების ორგანიზატორები მამა მათე (გორდელაძე), ნინო გოგეშვილი, ზინა სალუქვაძე; ღონისძიების წამყვანი თეა ასეიშვილი).

მხატვრულ კითხვაში პირველი სამეული ასე გამოიყურებოდა: გიორგი კონტრიძე, გიორგი ბეჟუშვილი, ნატო კოპლატაძე. ასევე გამარჯვებულთა შორის დასახელებდნენ დათო მეფარიშვილი, მამუკა სისხარულიძე, სოფო ანთიძე. გარდა ამისა, საუკეთესო მკითხველის წოდება თამთა ცხომელიძეს ერგო; ასევე დაჯილდოვდა ალექსანდრე კოსტავა და მუსიკალური ხელმძღვანელი სალომე



ლომთათიძე.

უნდა აღინიშნოს ის ეროვნული სულისკვეთება, რაც ამ ღონისძიებაში იყო ჩაქსოვილი, სიმღერის ანსამბლის მომზადების საკმაოდ მაღალი დონე, ხალხური საკრავების კარგად და საეკლესიო საგალობლების ცოდნა. მეუფე იოსებმა აღნიშნა, როცა იგი ეპისკოპოსად აკურთხეს, 5 მღვდელი იყო მხოლოდ ეპარქიაში და წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი. ამჟამად ეპარქიას 57 მღვდელი და 70-მდე ბერ-მონაზონი ჰყავს.

ამჟამად 4 სასულიერო სასწავლებელია ეპარქიაში. ერთ-ერთი წ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლაა. მან აღნიშნა, რომ ვერ-ვკერობით არ ვართ ბოლომდე დამოუკიდებლები. დაკარგულია ტერიტორიები და ხალხი. მიწა ღმერთისაა და ადრე თუ გვიან დააბრუნებს უფალი.

მეუფემ მოუწოდა მრევლს–დაეუბრუნდეთ ღმერთს.

ახალგაზრდა ფილანტროპები სოფლის განვითარებისათვის

ნინო ნიკოლაიშვილი

სოფელ დედაბუში კლუბი „განათლებული თაობა“ შექმნა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ქალები რეგიონის განვითარებისათვის (ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი) და დაფინანსდა ფონდ „ტასოს“ მიერ. კლუბის ხელმძღვანელი მიაა ქიჩიშვილი და სოფლის ახალგაზრდები უფროსი პარტნიორის მხარდაჭერით არაერთ საინტერესო ღონისძიების ავტორები არიან. ამჯერად, მათივე პროექტით შექმნილ ბიბლიოთეკაში კიდევ ერთი ლამაზი ღონისძიება გამართეს სახელწოდებით - ახალგაზრდა ფილანტროპები სოფლის განვითარებისათვის. ღონისძიებას პედაგოგები, სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კლუბის წევრებმა ანი ბუაჩიძემ და ქრისტინა საბაშვილმა ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მოკლედ ისაუბრეს. წარმოადგინეს დოკუმენტური ფილმი „განდაგანა“. სადაც ასახულია კლუბის წევრთა შეხვედრები სოფლის მართვებზე მოხსენებთან. ისინი მათ დროდადრო სტუმრობენ და ეხმარებიან.



04/06/2013 17:5

მაყურებელთა ემოციები გამოიწვია ერთ-ერთი მოხუცის სიტყვებმა, რომელიც თავისი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ნატვრაშია, რადგან უცხოეთში ცხოვრობენ.

ქრისტინა საბაშვილი: - ამ ქალბატონს სახლში შუქიც არ აქვს, რადგან ფიქრობს, სიბნელეში უფრო ახლოს იქნება უფალთან. ჩვენ გვინდა მოვიძიოთ მისი შვილების ინტერნეტ-მისამართი და სკაიპით დავალაპარაკოთ

მეექვსეკლასელთა საქველმოქმედო აქცია

ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის მეექვსეკლასელებმა (დამრიგებელი ნათელა სურგულაძე) საქველმოქმედო გამოფენა-აუქციონი გამართეს და მათივე კლასის ილია ხინთიბიძის მოუძღვეს. ილია ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარია და მასთან მასწავლებელი სახლში დადის.

აუქციონზე მათივე ხელით დამზადებული, სახლიდან მოტანილი სათამაშოები, სუვენირები, ნახატები ჰქონდათ წარმოდგენილი.



„შენ მარტო არ ხარ“, „ჩვენი ერთმანეთის თანადგომა ვეჭვრდება“ - ეს სიტყვები არა მხოლოდ გზავნილი იყო უცნობი მეგობრისადმი,

ისინი თავად აპირებდნენ გაკვეთილების შემდეგ ილიასთან სტუმრობას და შერეოვებული ფულით ტბილეულის მიტანას.

„სუფთა გარემო ჯანსაღ სიცოცხლეს ნიშნავს“

ნინო ნიკოლაიშვილი

გაკვეთილი -კონფერენცია - „სუფთა გარემო ჯანსაღ სიცოცხლეს ნიშნავს“ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს მოუძღვნა ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა ელიკო თავლუმაძემ მეექვსეკლასელებთან ერთად.

„ადამიანმა ყველაფერი გაკეთა თავისი სასარგებლოდ, მაგრამ ბუნებამ იზარალა ამით, გარემოს დაცვა ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა, გვინდა გავაღრმავოთ ეს თემა და ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი სკოლის მფლობელობით შევხედოთ მოვლენებს. - აღნიშნა ქ-მა ელიკომ, რომელიც განსაკუთრებულ განწყობაზე იმყოფებოდა, რადგან უკვე მორე შევლიათშვილის ბუბია გამხდარიყო.

საგაკვეთილო თემაში ბავშვებმა ისაუბრეს ბიომრავალფეროვნებაზე, როგორ შეცვალა ადამიანმა გარემო, როგორ უნდა გავუფრთხილოთ ბუნებას...

მეორე ნაწილში კი მათ ფოტო და ვიდეო კადრების ჩვენებასთან ერთად წარმოადგინეს საქართველოს ადგილობრივი, ნაკრძალები და ეროვნული პარკები. თითოეული მათგანი მათივე შედგენილ საქართველოს რუკაზე მონაზუსე. იგივე თემები ჰქონდათ პატარა წიგნებზე აკრებული, რომელიც გასულ სასწავლო წელს უფროსკლასე-



ლებს შეუდგენიათ.

შემდეგ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ დანაგვიანებულ ადგილებზე ისაუბრეს და შესაბამისი ფოტოებიც წარმოადგინეს. დასკვნით ნაწილში ვაჟებმა სიურპრიზი მოუწვეეს მასწავლებელს და ინტერნეტში იპოვეს ანტი-სიურპრიზი თემაზე - რა ზიანი მოაქვს გარემოს გარემოს და როგორ მოვუაროთ მას.

სკოლის დირექტორმა მია თავართქილაძემ მადლობა გადაუხადა მასწავლებელსა და მოსწავლეებს და აღნიშნა, რომ ასეთი გაკვეთილები უფრო დიდ აუდიტორიაში უნდა ჩატარდეს, რათა მეტი ადამიანი ჩართოს ბუნების მოვლა-გაფრთხილებაში.

ჩვენ ვიწყებთ ახალ ცხოვრებას



ჩვენი სიცოცხლისთვის, ჩვენი ვიწყებთ ახალ ცხოვრებას. ემოციები, გულწრფელი ცრემლები და გულწრფელი ლოცვა. ცხოვრების გზა დაულოცეს აღზრდილებს სკოლის დირექტორმა მარინა ჯაფარიძემ, დამრიგებლებმა ირმა ჭვებხიძემ, ციცი ჩანტლაძემ, ხათუნა ქილიფთარმა, პედაგოგებმა.

გამომშვიდობება ბავშვობასთან, მასწავლებელთან, ამ თემით დატვირთული ღონისძიებით შესძლეს ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა მაცურებელთა გულის მოგება.

—გვაპატიეთ, თუ გაბრაზებდით, გვაპატიეთ



31/05/2013

„ბულბულის დღესასწაული“

ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში ბენეფიციარებმა საინტერესო კონცერტი გამართეს. „ბულბულის დღესასწაული“-ასე დაარქვა პედაგოგმა თამარ ვაშალიძემ სცენარს, რომლის მიხედვით ასოციაციის ბენეფიციარებმა მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს. „ბულბულს“-მონიკა ახვლედიანი, მხარი აუბეს სხვებმაც და საიტერსო კონცერტი გამოუვიდათ



ზეიმი №3 საბავშვო ბაღში




თბილი და სასიამოვნო. პატარები ამბობდნენ ლექსებს, მღეროდნენ და ცეკვავდნენ, რაზედაც დიდი ენერჯია და სიყვარული ჩააქოვეს ბაღის მენეჯერმა ნინო მშვიდლობაძემ, აღმზღვლებმა ლალი სამსონიამ და ნათია ზოიძემ, ძიძა გულნარა მამალაძემ, მუსიკის მასწავლებელმა მადონა შავიშვილმა.

დიდ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც მიიღო მონაწილეობა ჩვენი პატარების ზეიმის ჩატარებასა და ამ დიდი სიხარულის მინიჭებაში.

ნელი ლაბაჯაშვილი, მშობელი

ოზურგეთის №3 ბაღში ჩატარდა 3-4 წლიანი ჯგუფის ბავშვების ზეიმი. მიუხედავად ბავშვების მცირე ასაკისა, ზეიმი იყო ძალიან

მოსწავლეთა პირველობაზე



სის ტურნირში გამარჯვებული, წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლე, 7 წლის ლაზარე შანიძემ ჩემპიონსაც კი მოუგო, მაგრამ საბოლოოდ 8,5 ქულით II ადგილი დაიკავა. 7 ქულა დააგროვა III ადგილზე გასულმა, ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის მოსწავლემ, 8 წლის ლუკა ღლონტმა. 6-6 ქულით IV-V ადგილები გაიყვეს ქვ. ნატანების და ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა გურამ ფარულავამ, ლუკა კალჩისკიმ.


მოეწყო ტურნირის გამარჯვებულის და პრიზიორების საზეიმო დაჯილდოება. ტურნირის დასრულების შემდეგ, ტურნირის მონაწილეებთან ერთდროული ბლიც-ტურნირი საქართველოს ჩემპიონატში მოსწავლეთა შორის III ადგილის პრიზიორმა, 10 წლის თორნიკე მახარაძემ ჩაატარა.

თორნიკეს მოპოვებული აქვს ევროპის თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება, რომელიც 16 ივნისს საჭიმიოდ გაიხსნება დაბა ურეკში.


ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიუძღვნა ოზურგეთის საჭადრაკო კლუბმა მოსწავლეთა რაიონული ტურნირი, რომელშიც 8-დან 10 წლამდე 11 წარმატებული მოჭადრაკე გამოდიოდა.

10 შესაძლებლობიდან 9 ქულით გამარჯვებული ქვ. ნატანების საჯარო სკოლის მოსწავლე, 10 წლის საბა ფერაძე გახდა. 26 მაი-

ანსამბლი «მანანური»



ნინო გელაშვილი, მანანა მაკარაძე



ნინო გელაშვილი

რეზო ჭანიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია „მანანური“ 1997 წელს ჩამოყალიბდა ოზურგეთი, სადაც ქართული ფოლკლორული ცეკვების გარდა მსოფლიო ხალხთა და სამეცნიერო ცეკვებიც ისწავლება. მსოფლიოს სამხატვრო ხელმძღვანელია ნურეი ლალიბეგი; მთავარი ქორეოგრაფი — მანანა მაკარაძე. ანსამბლის ქორეოგრაფია ნაწი გავლია. ანსამბლი „მანანური“ დღემდე არაერთი ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია. მიღებული აქვს ოქროს მედლები, „ოქროს დუნის რტო“, „ოქროს არწივი“, „ოქროს თევზი“, „გრანპრი“ და წლის საუკეთესო ანსამბლის წოდება. ანსამბლმა წარმატებით მიაღწია ევროპის და აზიის მრავალი ქვეყანა. მშობელთა სახელით დიდ მადლობას ვუხდით სტუდიის ხელმძღვანელებს წარმატებული მოღვაწეობისათვის.

ლიხაურში, რეგიონულ ტურნირში

2 ივნისს, სოფ. ლიხაურის საჭიდაო დარბაზში ოზურგეთის სასპორტო სკოლის ეგიდით ჩატარდა რეგიონული ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1997-98 და 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის სასპორტო სკოლის ჯგუფები, სულ 115 მონაწილე.

1997-98 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ: 50 კგ. წონით კატეგორიაში: ერეკლე ბაბილოძე (მწვ. გურამ მაჭარაშვილი); 54 კგ. წვ. კ. გეგვი ფილიფანი (ვაჟა შენგელია); 58 კგ. წვ. კ. ვაჟა გოთუა (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე); 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის: 20 კგ. წვ. კ. საბა მაზარაძე (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე); 23 კგ. წვ. კ. ავთო მამალაძე (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე); 26 კგ. წვ. კ. სერგო სარქისიანი (გურამ აბაშიძე); 29 კგ. გოჩა ირემაძე (გურამ მაჭარაშვილი); 32 კგ. ანზორ ზურციძე (ლიხაურის ფილიალი. ლ. ბოლქვაძე); 35 კგ. წვ. კ. გიორგი შოთაძე (ლანჩხუთი, დათო მჭავია); 38 კგ. წვ. კ. კახა ფუტყარაძე (გურამ აბაშიძე); 42 კგ. წვ. კ. ირაკლი ბიბისტარაშვილი; 47 კგ. წვ. კ. ლუკა ზაქარიაძე (ორთავე ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე); 53 კგ. წვ. კ. ომარ სირაძე (თენგიზ ლაბაძე); 60 კგ. წვ. კ. ლუკა ტატუნაშვილი (გურამ მაჭარაშვილი); 70 კგ. წვ. კ. გელა დევიდარიანი (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე); 85 კგ. წვ. კ. რობიკო ესაძე (ლიხაურის ფილიალი, ალ. ბოლქვაძე); ტურნირში გამარჯვებულები და პრიზორები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებით. ოზურგეთის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა თამაზ სალუქვაძემ და სოფლის რწმუნებულმა კახა გობრონიძემ სპეციალური პრიზები გადასცეს თურქეთის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულ ლ ე ვ ა ნ ქ ა ვ ჟ ა რ ა ძ ე ს.

კველი ქართული ცეკვები

ფარცა-კუკუ

ა. წულაძე მას „უბელეს“ ცეკვად მიიჩნევს (მისი, ენოგრაფიული გურა, თბ. 1971, გვ. 97). ალ. ლონტი ფარცას ასაკად უფრო „ბეღლებურს“ აზრობდა (მისი, ქართული კლოთ-თქმის სიტყვის კონა, თბ. 1975, გვ. 148). არც ერთს და არც მეორეს დასაბუთება არ ახლავს და „დათარიღების“ სამეცნიერო მნიშვნელობა მცირეა. ფარცას გვიან ქალბიძე ცეკვადღენ და კაცბიძე, მაგრამ წარმოშობით მდებრთა ცეკვა ჩანს (მღრ. თარნანი). ცეკვის შინაარსის ადრინდელი მისი სახელწოდების გახსნაც შეიძლება დაგვხმარებოდეს, მაგრამ დღემდე იგი შესწავლილი არ არის. გურამ ბელაშვილის აზრით, ფარცა ბაცა სიტყვის სახედავალი ფორმა უნდა იყოს. თუმცა ვერა-ვერობით არც ბაც-ას რაობა და წარმომავლობა უხიბება ვისმე. წინასწარსულად მისი ადრინდელი ფორმა შესაძლოა სატომო სახელი ბაცი იყოს. ა. წულაძე ფარცას „ჩამჯღარ“ ცეკვას უწოდებს. ცეკვა სიმღერის თანხლებით მიდის: დამწვები: ფარცა-კუკუ ფარცადინა, ყურსა სისხლი ვინ გადინა? მეორე: ლაშქარს ვიყავ, დავიკოდე, ყურსა სისხლი მან მდინა... შემორჩენილია კიდევ ორი ასეთი სტრიქონიც. ზღვას გადავდე ნემსებითა, ზედ გავარ ჩემებითა. ცეკვის თავისებურებებიდან ა. წულაძე ორზე ამხეილებს ყურადღებას: I. იგი „სიცოცხლით სავსეა“ და II. „ვნების აღმტერელი.“ ასეთი ნიშანთვისებანი წარმართულ ცეკვებსაც ახასიათებდათ და აღორძინების ეპოქის ცეკვებსაც, თუმცა ესენი უფრო დახვეწილობით გამოირჩეოდნენ. გასულ საუკუნეში ფარცა საქართველოს სახალხო არტისტმა გიორგი სალუქვაძემ აღადგინა. იური სიხარულიძე, პროფესორი.

ნატო ქართველიშვილის გახსენება

ცრემლით და მონატრებით დატვირთული, ტკივილიანი მოგონებებით დატვირთული ერთი წელი გვაშორებს შერთან ჩვენი ოჯახისთვის საოცრად თბილო, მოსიყვარულე ადამიანი. მისადმი იყავი ჩვენთვის, კარგი ექიმო, დიდი ენერჯითი, სიკეთით სავსე. უკუ-რნებელმა სენმა მოულოდნელად მოე-ისწრაფა სიცოცხლე, რომელიც შენი შეილებით, მისიშვილებით, ოჯახის ყვე-ლა წევრის სიყვარულით ვისაროდა. შენს შემდეგ ერთი წლით დღიზარდნენ შენი შეილები, ან და პაატა უკვე მეთორმეტკლასელები. დათო ბიბია ცდილობს უშეზღუ-ბლად შეუშუბუქოს მათ, ბევრსაც შრომობს ამისთვის, მაგრამ უდევლობით მოურ-ჩენელი არა მუდომ თანამზავრად გაკვეყნათ ცხოვრების საყალ გზებზე. უშეზღუბლად გახდა ჩვენი დიდი ოჯახის უდიდესი ტრაგედია. გამწარებული მიხუცი მშობლები



ყოველ კვირას საფლავთან მოდიან და გვევრებან. მაგრამ მდუმარე საფლავი. ღიმილი მხოლოდ ფოტოსურათებსა და მოგონებებში გაიყნა. როგორ ელოდი, ჩემი სკოლის დახმარებას მამიდა. ამბობდი შენს სტუდენტობას როდის მოვესწრები, ამ სიტყვებიდან მაღვე დავგებოდე ახლა სტუდენტობისთვის ვეშაადები, ვესურებ და ძვერა, ჩვენი ყოველი წარმატება შენს სულს მოუთხებს... უფაღს ებრებოდე. ნინო ქართველიშვილი.

ზურაბ სომეერიკის ხსენება



სოფელ შრომას დააკლდა ერთი ალაომართალი, ჩემი, უპრეტენზიო, მშრო-მელი, ყოველმხრივ განსწავლული, თავის ერზე და სამშობლოზე უსახლგროდ შეყვარებული, კაცური კაცი — ზურაბ ზომერიკი. ზურაბი იყო ეტალონი კაცობისა, სინდისისა, უმურველად უნაწილებდა ყველას მხოლოდ მისთვის დამასა-თებელ ღიმილს და თბილ გულს. ბატ-ონი ზურაბი მუხლიზაურულად იღე-წოდა მომავალი თაობის აღზრდისა და განათლებისათვის. წლების მანძილზე სათავეში დედა შრომის საჯარო სკო-

ლას. როგორც პედაგოგი ხომ სანიმუშო იყო, როგორც დირექტორი — უკეთესი. მას ჰყავდა უზარმაზარი სამეგობრო წრე და ისინი იყვნენ მის-თვის უპირველესნი. სოფლის მუც-ვლედი ხელმძღვანელი, პურისა და მარილის კაცი (როგორც ჩვენში იტყ-ვიან), უტყუარი მეგობარი, გამორჩეული მამა და მეუღლე — ასე მოიგონებენ მას მისი მეგობრები. სოფელი, როცა ასეთ გამორჩეულ შეიღს ჰკარგავს, გლოვობს, წუხს მომ-დარის გამო, უთანაგონობს მის დიდე-ბულ ოჯახს და არდაეწყვის ფიცსაც დებს ხოლმე... მე ძვერა, ზურიკო, რომ ვიდრე შენი საყვარელი სოფელი შრომა იარსებებს, შენი სახე და სახ-ელი არასოდეს დაიბნდება. არც შენს საყვარელ ქალაქს და ვიწყებდა არა-სოდეს შენი ნაკვალევი. ამადც დიდად სიცოცხლე საყაომ და იმადც, მარადიულ სასუფეველში რომ გზას გაგინათებს შენს მერ განვლილი „კვილი ნათელი.“ მამაშალა ღარჩია.

ლიდა სამსონის ასული ჩხარტიშვილი-დვალისი

40 დღე გავიდა ლიდა სამსონის ასული ჩხარტიშვილი-დვალისის გარდაც-ვალეობიდან. წახვედი და დავეტიოვე დიდი გულისტკივილი. გემიძმის უშეზღუბო, გვენა-ტრები და გვაკლიხარ, ისეთი მხნე და ომანიანი იყავი. ჩვენ გვევონა, რომ ძალიან დიდხანს იქნებოდი ჩვენ გვერდით. თავს იმით ვიმშვიდებო, რომ ლამაზად იცხოვერე ამქვეყნად. გვერდით გვაყავდა არაჩვეულებ-რივი ერთგული მეუღლე, შეილები, შეილი-შვილები და იმათი შეილები. ათეული წლების მანძილზე თავდაუზოგავად იღე-აწე ნორჩების სასიკეთოდ. ღრმა კვალი დატოვე მათი სულის დაფაზე. თქვენი კეთილშობილური მოღვაწეობით პატარ-ებს სითბო და სიყვარული მიანიჭე. ბედნიერი ხარ იმით, რომ შენ დატოვე ოჯახი, უღამაზესი, კეთილშობილი მომავლით. შენს საფლავს ხავსი არა-სოდეს მოეკიდება, რადგან ამოვლენ შენი შეილები, შეილიშვილები, შეილითაშვილები. გაიღება ეზოს ჭიშკარი, გაგრძელდება სიცოცხლე შენს ნაშრომ-ნამაგარ ოჯახში და ამით აგისრულდება შენი დიდი ოცნე-



ბა, თქვენი შთამომავლობა ხშირად მიინახ-ულებს თქვენს საფლავს და ცოცხალი ყვეილებით შეამკობს დიდი ბებიისა და ბაბუის სამუდამო განსასვენებელს. მუდამ ვიცოცხლებთ თქვენი სულის მარადიული უკვდავებისთვის და უფაღს შეეთხოვთ, შენდობა და ნათელი მოჰყენ-ოდეს თქვენს სულს. ოჯახი.

მეუღლე თეა, შეილები ქრისტინე, ვალერიანი; ძმა ჯანგული ჩხაიძე ოჯახით; ცოლისძმა დათო ჯაბუა, ახლო ნათესავები და მოყვრები იუწყებიან ბიორგი ვალერიანის კმ ჩხაიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 11.06. (სამშაბათს) 16 საათზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თხინვალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ომარ დოლიძე, სპეციალისტი ბადრი ლაბაძე იუწყებიან თანმშრომლის ბიორგი ჩხაიძის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

სოფელ შრომის გამგეობა თანაუგრძნობს გულსუნდა ღუმბაძეს, ვასო, ზურაბ ზომერიკებს, მეუღლისა და მამის ზურაბ სომეერიკის გარდაცვალების გამო.

ნოდარ დონაძე ოჯახით თანაუგრძნობს გულსუნდა ღუმბაძეს, ვასო, ზურაბ ზომერიკებს, მეუღლისა და მამის ზურაბ სომეერიკის გარდაცვალების გამო.